

კოლხეურეთა IV საკავშირო ყრილობა

როგორც ვიუწყებდით, ამ დღეებში მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა კოლხეურეთა IV საკავშირო ყრილობა. ეს ყრილობა ჩვენი საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის მატყინეში შედგა. იგი გამსჭვალული იყო რადიკალური ეკონომიკური რეფორმის სულისკვეთებით, იმ მიღწევით მასშტაბურობით, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხორციელდება.

კოლხეურეთა IV საკავშირო ყრილობამ 25 მარტს მუშაობა დაამთავრა.

„ყოფითი ნარკომანიის სახე“

„თამბაქოს წვევა ყოფითი ნარკომანიის სახეა“ — ასე განმარტავს ქართული საბჭოთა ენციკლოპედია თამბაქოს მწველთა მიდრეკილებას. აუნაზღაურებელია ის ზარალი, რომელიც თამბაქოს მწველობას მოაქვს. ყველაზე უმთავრესი კი ისაა, რომ აღმართი ნელ-ნელა იწამლავს თავს, ირგანოებში მრავალი ფუნქცია კარგავს ცხოველმყოფელობის უნარს. თამბაქოს წვევას თან ახლავს გაბრუნება, თრობა, დარეტიანება, ირღვევა არტერიული წნევა, დიდი დოზა იწვევს დაღამბლავებას, კანის სეფითლეს, ლორწოვანი გარსის დაავადებას, აღმართის უქვეითდება სქესობრივი პოტენცია, იკლებს წონაში და ა. შ. აღარაფერს ვამბობთ იმ დიდ დანაკარგებზე, რაც თამბაქოს წვევით გამოწვეულ დაავადებათა მკურნალობას, მის სხვა შედეგებს ეწირება.

ფიზიკურად, სპორტი და ნიკოტინი ერთმანეთთან შეუთავსებელია. ამასვე ბევრს ლაპარაკობენ და ბევრი იწერება, თავის დროზე საგანგებო ბრძანებაც გამოცდა, რითაც სპორტულ ობიექტებზე იკრძალება თამბაქოს წვევა, მაგრამ სასურველი შედეგისთვის დღემდე ვერ მიგვიღწევია, მიზეზი ჩვენსავე გულგრილობაში, არაპრინციპულობაში, არც ამის თქმას მოვერიდებით, უკუღმართობაში უნდა ვეძებოთ. სხვა რით უნდა აიხსნას ის, რომ ჩვენს მთავარ სპორტულ ობიექტებზეც კი, თუნდაც თბილისის სპორტის სასახლე ავიღოთ, ვერა და ვერ აღვკვეთთ თამბაქოს წვევა. არადა, სიგარეტის ბოლო; როგორც ცნობილია, არაააღლებ ვნებს არამწველელს, რომლებიც გაბნეული მდგომარეობაში უნდა იყვნენ, ყველაზე მეტად კი ჩვენი თავმჯდომარეობა ვნებს სპორტსმენებს, რომლის მხარდასაჭერად და საგულშემატკივროდ სპორტის სასახლეში ვიკრიბებით. ქვეყნის ბევრ სპორტულ ბაზებზე უკვე წესად იქცა — აღარ უწევიათ სულ ახლახან ღენინგრადას, სპორტულ-საოცნერო დარბაზში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს „წენიტი“ მასპინძლობდა. შესვენებისას იქ, შენობაში სიგარეტს არავინ აბოლებს. საერთოდ, ღენინგრადაში ქუჩებშიც კი იშვიათად ეწევიან, აი, კულტურა!

რედაქციაში ხშირად შემოდის წერილები და, მართალი არიან ის ავტორები, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვენ ჩვენს სპორტულ ბაზებზე, ღია იქნება ის თუ დახურული, ერთხელ და სამუდამოდ აიკრძალოს თამბაქოს წვევა. ფიზიკურად და სპორტსმენები, მწვრთნელები, სპორტული ბაზების მუშაკები სთავად უნდა იძლეოდნენ მისხამ მაგალითს, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრგან... პირიქით ხდება. ახლოვდება 8 აპრილი. ჩვენს რესპუბლიკაში უკვე რამდენიმე წელია აპრილის პირველი კვირა — დღე ჯანმრთელობისათვის საყოველთაო-სახალხო ღაშკრების დღედ ცხადდება, იმართება მასობრივი სპორტულ-გამაჯანმრთელო ღონისძიებები, სპორტულ მოედნებზე და ტურისტულ ბილიკებზე გამოდის ათი ათასამდე ადამიანი. იქნებ სწორედ ეს დღე გამოვაცხადოთ თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ დღედ, ახლა ამის აუცილებლობა თვით ცხოვრებამ დააყენა დღის წესრიგში.

„ლელოს“ რედაქცია სთავად გამოდის ამ ღონისძიების თანხმად და ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზრუნვა, იმედია, მხარში ამოვიდგება. მკითხველებს კი ვთხოვთ მოგვწერონ თავიანთი წინადადებები, რა კონკრეტული ღონისძიებები შეიძლება დავსახოთ, რომ საბოლოოდ უარი ვთქვათ „ყოფითი ნარკომანიის“ ისეთ მავნე ჩვევაზე, როგორიცაა თამბაქოს წვევა.

პრაგმატიზმი შეიღებო

გასულ წელს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს დამატებითი ჩველ ბავშვთა, საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში ობოლებისა და უპატრონოდ დარჩენილი ბავშვების სწავლების, აღზრდისა და მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით დახმარების ფონდების შექმნის შესახებ. ამ დღეებში სკკპ-ის პასუხად საქართველოს პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფინანსური-სპორტული საზოგადოების I ყრილობის დღევანდელმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, შეფუძნა გაეწიათ თბილისის ჩველ ბავშვთა სახლისათვის, ყრილობაზე შეგროვდა შეწირულობები. ნუკუბიძის ქუჩა №3. ამ ღამეზე, კეთილმოწყობილ შენობებში ბავშვები ცხოვრობენ. ისინი აქ მომუშავე ყველა ქალს დედის ექსპანსი. პატარებმა ჯერ კიდევ არ იციან, რომ დედა ამქვეყნად ერთადერთია. ამას მოგვიანებით გაიგებენ, დღეს კი, ყველა, ვინც მათზე მზრუნველობას იჩენს, დედაა.

თბილისის ჩველ ბავშვთა სახლში (მთავარი ექიმი ათანადო ბუბუტიშვილი) სამ წლამდე ასაკის 180

პროლეტარკოპ ყველა ქვეყნისა, შვედეთში!

საქართველოს სსრ შინაგარე საქმეთა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

27 მარტი, კვირა, 1988 წ.
№ 60 (9727) © ზანი ა კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

თვალისწინებით გაგზავნილობა

ამბიურ სპორტს თავისი ხანი აქვს, სიჭაბუკიდან მოწიფულობამდე გრძელდება, ვისაც როგორც ძალუძს, ისე გახარავს თავისი ნიჭი, მოიხვეჭს სახელს და ასახელებს თავის ქვეყანას, შემდეგ კი ცხოვრების ეს ყველაზე მშვენიერი პერიოდი მოგონებად იქცევა. დიან, ყველა ჩვენივე ბავშვი რამ აქვს გასასხენებელი, ბევრი რამ, მაგრამ ყველაზე ძვირფასი და ყველაზე გაუზუნარი იმ დღეების სიხვნაა, როცა საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების შვილებთან ერთად ჩვენი დიდი ქვეყნის ღირსებას იცავდა საერთაშორისო სარბიელზე. ხშირად ამბობენ, მავანთ და მავანთ მეგობრობის ძაფები აკავშირებოთ. ძაფი ითქმის, თორემ რვალივით მტკიცეა ქაბუკობაში ჩასახული სპორტული მეგობრობა. ამიტომაც, ასე სათუთად რომ ინახავს მას მესხიერება, ამიტომაც, ჩვენი სპორტი უმეტიერად ინტერნაციონალური. მეგობრობა რის მეგობრობაა თუ მარტო სპორტულ სარბიელზე გაგრძელდა. სიჭაბუკეში დევნიდება და უფრო მტკიცდება მომთხრობის საყვარელი და ის, რაც ჩვენ სომეხ და აზერბაიჯანელ მეგობრებს აღვლევთ, ჩვენც გულს გვტკენს და დავაფიქრებ.

სომხეთსა და აზერბაიჯანში მომხდარმა ბოლოდროინდელმა ამბებმა კიდევ ერთხელ მაფიქრებინა, რომ ჩვენს ამ ყველაზე დიდ მოღვაწეს, მჭურ მეგობრობას, განსაკუთრებული გაფრთხილება, გარდაცვალება, თუ გენბავთ, მოვლა და გონივრული გამოყენება სჭირდება. საერთო ინტერნაციონალურ აღზრდასთან ერთად ახალგაზრდა, დამწყები სპორტსმენები ამიერკავკასიის ხალხთა სპორტული მეგობრობის მდიდარ ტრადიციებსაც უნდა ვაზიაროთ. დღე, ყველაზე ბავშვობიდან იცოდეს — ჩვენ ძმობა-მეგობრობას მტკიცე ფუძეები აქვს, მის ნაყოფს ყველა თანხარად ვიშენებთ და ყველანი თვალსწინისადაა უნდა გავუფრთხილდეთ მას.

როგორც ვამბობდით, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.



ბავშვი იზრდება. უმეტესობა მშობლებშია მიატოვებული. მათთან მათ საჭარველოს პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფინანსური-სპორტული საზოგადოების მიხედვით ეწევიან. სტუმართა შორის აყენენ ნონა გაფრინ-დაშვილი, ელენე გოგიელი, დიმიტრი იოსელიანი, ქეთევან ლოსაბერიძე, ირინე გაბაშვილი, მათი ნაღობა, ამ საზოგადოების თავმჯდომარე ვაჟა შუბლაძე.

პატარებმა სტუმრებს ლექსები წაუკითხეს, შემდეგ კი ჩვენმა სასიყვარულო სპორტსმენებმა მათ სათამაშოები დაურიგეს. მასპინძლებს სიტყვით მიმართა ნონა გაფრინ-დაშვილი:

— ყველა სპორტსმენის სახელით დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ, რომ ისეთ რთულ და

გოსწავლა კიუდოისტთა თეორიის საერთაშორისო ტურნირი

ორი პოლიტიკური
გეგმა ერთი
ორი!

გიორგი გაჩეჩილაძე

დავით ხახალიშვილი

როგორც უკვე იცით, გუშინ წინ საღამოს სპორტის სასახლეში გათამაშებული მედლების სამი კომპლექტიდან (83, 90 და +90 კგ წონით კატეგორიებში) ორი უმაღლესი ჯილდო საქართველოს ფალაშეებმა მოიპოვეს.

83 კგ წონაში ჩვენი გუნდის 6 ძიულდისტი ჩაება ბრძოლაში. მათგან სამმა იქიდავა ნახევარფინალში. გიორგი გაჩეჩილაძე შეხვდა ნიკოლოზ ფალაშას, ხოლო თენგიზ პაჭკორია — უნგრელ კარლ კორბელს. როგორც გაჩეჩილაძემ, ასევე კორბელმა შესანიშნავად ჩაატარეს თავიანთი ბრძოლები და ფინალში ერთმანეთს პირისპირ წაიხრდნენ. გადამწყვეტ შეხვედრაში აშკარა იყო ჩვენი თანამემამულის უპირატესობა, რომელმაც წმინდა გამარჯვება მოიპოვა და ტურნირის პირველი გამარჯვებულიც გახდა. მესამე ადგილზე გავიდნენ გორა ბუჩიძე და აბდულ ქერიმოვი.

90 კგ წონით კატეგორიაში წინააღმდეგობა ვერაფერს გაუწია საქართველოს წევრებს, რომლებმაც გაითამაშეს კიდევაც ფინალი. გიორგი უგაროვმა უკომპრომისო ბრძოლაში დამარცხა ანდრეი კარლოვი. მესამე ადგილი მოიპოვეს ვეფხია ავალიანმა და უნგრელმა გამორ ფრიდრიხმა.

+90 კგ წონის მოქიდავეთა შეჯიბრებაში ქართველი გულშემატ-

გაუჩინ...

სალამოს საქართველოს ნაკრების წევრებმა კიდევ ორი გამარჯვება მოიპოვეს. ჩემპიონები გახდნენ გიორგი კირაკოზაშვილი (68 კგ) და ვახილ ომარაშვილი (75 კგ). 62 კგ წონაში პირველი ადგილი დაიკავა სერგეი გორლოვმა (სსრკ).

უმაღლესი სასწავლებლები — სპორტულ სარბიელზე

„ჯანმრთელობის დღეს“, რომელიც ტრადიციულად ეწყობა ჩვენს რესპუბლიკაში აპრილის პირველ კვირა დღეს, საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ საინტერესო მასობრივ ღონისძიებას. „გაგანტური ასპარეზობა“ — ასე ეწოდება სპორტულ შეჯიბრებას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ნაკრები გუნდები.

ამ ტურნირის გამართვის ინიციატივა გამოიჩინა რესპუბლიკის პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფინანსური-სპორტული საზოგადოებამ. მას გახსნიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლები. 3 აპრილს ამ უმაღლესი სასწავლებლების გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან კალათბურთის მოედნებზე.

ასპარეზობის დაწყებისათვის მზად არის ყველა სამსახური, სპორტული ბაზები. ეს ითქვამს საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც მეთაურობს პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფინანსური-სპორტული საზოგადოების თავმჯდომარე ვ. დ. შუბლაძე. შეიტანეს მთელი რიგი კონკრეტული წინადადებები ასპარეზობის წარმატებით გამართვის შესახებ.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს პროფკავშირთა თავმჯდომარემ ვ. მ. სირაძემ.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომის შემდეგ საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა ვ. შუბლაძეს უფრო დეტალურებით ეამბნა ახალი ტურნირის შესახებ.

— „გაგანტური ასპარეზობა“ რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზანი აქვს, — თქვა მან. — თვისებრივად უფრო მაღალ დონეზე დააყენოს სტუდენტური სპორტი, მთელი ფიზიკულ-სპორტული მოძრაობა უმაღლესი სასწავლებლებში, სისტემატურ ვარჯიშში ჩაებას რაც შეიძლება მეტი სტუდენტი ახალგაზრდა, შეცვალოს მრავალი მათგანის დამოკიდებულება საკუთარი ჯანმრთელობისადმი...

გარდა ამისა, ძალზე მწვავედ დგას დასვენების დღის პრობლემა. ჩვენ გვაქვს საქმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ დასვენების დღეებში ისინი ისევე არ არის დატვირთული, როგორც გვსურს. გულახდილად უნდა ვთქვათ: წინათ მრავალი მასობრივი სპორტული ღონისძიება ფორმალური, არაორგანიზებული ხასიათისა იყო.

შეაღწიო სანაპიროებს — სოციალური სარბილზე

(დასასრული)

იყო, იწყებოდა მხოლოდ ანგარიშები ალსანისწავდა. ახლა ჩვენ ვეძებთ გზებს, გავაუმჯობესოთ მანქანები, უფრო ხელმისაწვდომი გავხადოთ მათთვის ფიზიკურად და სპორტულად სტრუქტურა და სპორტი. სტრუქტურა „გეგმვით“ ასპარეზობა“ შეიძლება ითქვას, რომ პერველი ნაბიჯია ამ კრეკლი გეგმვის რეალიზაციის გზაზე.

● კონკრეტულად, რას წარმოადგენს ასპარეზობა?

— ჯერ ერთი, უნდა აღინიშნოს, რომ ასპარეზობის გამართვის იდეას ყველა დონეზე დაუჭირეს მხარი და, რაც განსაკუთრებით სასიამოვნოა — ყოველ უმაღლეს სასწავლებელში. შემთხვევითი რაღაც მიზეზით ასპარეზობის გახსნის უფლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის — რესპუბლიკის ყველაზე „სპორტული“ უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებს. კალათბურთელთა ტურნირში ყოველი მხარე გამოიყვანს ას-ას გუნდს — 80 ვაჭთა და 20 ქალთა გუნდს. მათ დამატებით დედაქალაქის საუკეთესო ბაზებში. მსაჯთა კორპუსი კი მთლიანად დაკომპლექტებული იქნება სა-

ქართველოს ფიზიკურის ინსტიტუტის სტუდენტებისაგან. ყოველ მხარეს, რა თქმა უნდა, ეყოლება გულშემატკივართა თვისი აუდიტორია, თამაშად შეიძლება ითქვას, რომ სტადიონზე მთელი უმაღლესი სასწავლებელი მოვა. სპორტგანზავი კომიტეტმა დაგეგმილია თანავე დაეშვა ასპარეზობაზე მსაწავლებელთა გუნდებიც.

● როგორ გამოვლინდება გამარჯვებული?

— ასპარეზობა ოთხ ეტაპად გაიმართება აპრილის კვირა დღეებში. კალათბურთელთა შემდეგ გამოვა ფრენბურთელთა, მოცურავეთა და ფეხბურთელთა ას-ასი გუნდი. უძლიერესი კოლექტივი გამოვლინდება ოთხი ეტაპის შედეგების მიხედვით. თუ ეს შედეგები საკმაოდ იქნება, გამარჯვებულს ვინაობას გამოვაცხადებთ მოცურავეთა საუკეთესო შედეგების მიხედვით, და მას გადავცემთ სპეციალურ პრიზს.

დარწმუნებული ვართ, რომ „გეგმვითი“ ასპარეზობა“ დიდ ინტერესს გამოიწვევს. მომავალში ასეთი ტურნირები გაიმართება რესპუბლიკის სხვა უმაღლესი სასწავლებლებს, სკოლებს, სასწავლებლებს, საწარმოთა კოლექტივებს შორის. (სამინფორმომ).



ლახისი
წარმო

სპორტული დარბაზი, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივია. ეს არის, რომ იფიქრებ, ვიღაცას ინვენტარი საგულდაგულად აუღაგებია ფეხბურთის, კალათბურთის ან ფრენბურთის სათამაშოდ. მერე და იგრძნობ, რომ შეგვივდა, ორბირ ქარში მოხვედრა უნებურად თავი ორივე მხარეს სანახევროდ ჩამტყრული მინებისკენ გაგვცევა, რომელთაც ზოგიერთი დამოუკიდებელი მხედველი გეშუქრება. ამ დარბაზში მაშინაც ცივა, როცა გარეთ მზიანი, მშვიდი ამინდია.

...თბილისის 142-ე სკოლაში ბოლო სამი წლის განმავლობაში სამი ღირსეული გამოცემა. მესამე — ამჟამინდელი დირექტორი, ყოფილი სასწავლო ნაწილის გამგე სოსო ლავილია, ამ თანამდებობაზე წლის დასაწყისში აირჩიეს.

— მარშან, ავტოსტრუქტურა, საზღვრული არადადგებიდან რომ დავბრუნდით, მინები ჩამტყრული დაგვხვდა. ამის შესახებ მაშინვე მივმართე რაიონის განათლების განყოფილებას, ჩვენი საშფოთ ორგანიზაციის — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს პარტკომ-მაც მოგვაციხა, მაგრამ არაფერი შეცვლილა, საკუთარი ძალებით კი საქმეს ვერ მოვევრეთ. დარბაზის ფანჯრებს რკინის ჩარჩოები აქვს და მას სპეციალური მინები სჭირდება, რომელთა შოვნაც ძალიან გაგვიჭირდა. ახლა, მგონი, გვეშველა — უკვე გადავკრეცხეთ თანხა ასეთი მინებისათვის, — გვითხრა დირექტორმა.

სკოლის პრობლემები, სამწუხაროდ, ამით არ ამოიწურება. საქმე ისაა, რომ ფიზიკურის გაქვეითების ჩასატარებლად მას ელემენტარული სპორტული ინვენტარიც კი არ გააჩნია. საოცარია, რომ დღეს კიდევ გვხვდება ისეთი სკოლა, სადაც არა აქვთ ხარხა, ტაიპი, ორიელი... საკითხავია, როგორ ითვისებენ — სასწავლო პროგრამას?

1986 წელს სკოლაში კაპიტალური რემონტი ჩატარებულა (ასეთი რემონტი თხუთმეტ წელიწადში ერთხელ ტარდება). რემონტი კი ჩატარდა და საბუთებიც როგორც

წესი და რიგი იყო, ისე გაფორმდა, მაგრამ შენელებს უმთავრესი — გათბობის სისტემა არ გამოუცვლიათ. სპორტულ დარბაზში გათბობის მიღები ისე სახიფათოა გამოჩნდა, მეცადინეობის ნორმალურად ჩატარება შეუძლებელია. კვირა ისე არ გავა, გათბობის მილი არ გასკდეს. სპორტული დარბაზის ერთ-ერთი კედელი ზემოდან ჩამოსული წყლის ნაკადულითაა „დამშვენებული“.


გასახლებაში კი ფილებით გაწყობილი იატაკი ისეა ერთ მხარეს ჩაწეული, გულდანდობილი კაცი სიბნელეში კისერს მოიტეხს.

სოსო ლავილია: იატაკმა იმიტომ ჩაიწია, რომ ამ რამდენიმე წლის წინ ეზოში მაღი გასკდა და წყალმა გასახლების ქვეშ იდინა.


იქნებ სკოლას ღია სპორტული მოედნები მაინც აქვს მოწყობილი?

ბულო, ალბათ იკითხავთ, აქ კომენტარი საჭირო არ არის, დახედეთ

ქარი



სკოლის პრობლემები, სამწუხაროდ, ამით არ ამოიწურება.



სურათებს და ყველაფერი ნათელი გახდება. ეს მაშინ, როცა კარგა ხანია დაიწყო ღია სპორტული მოედნების კეთილმოწყობის ერთგვარი.

ერთი სიტყვით, სკოლის ახალ დირექტორს არცთუ საზარბილო „მემკვიდრეობა“ ერგო. მისი მო-

გვარება საკმაოდ ფინანსურ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ვფიქრობთ, აქ თავისი სიტყვა უნდა თქვას ლენინის რაიონის განათლების განყოფილებამაც. ასეთი სკოლით ხომ რაიონი ნამდვილად ვერ იამაყებს.

ლევან ჯაბაძე.

დაჯილდოება

წალკაში გამართულ მსოფლიო პირველობის პრეტენდენტ ქალთა ტურნირის მალაღობა-ნიზაციულ დონეზე ჩატარებისა და ქართველ მოჭადრაკეთა წარმატებით გამოხატვისათვის რესპუბლიკის სპორტსახელმძღვანელო დაჯილდოვდა:

საპატიო სიგელით:

- გ. აზიანიძე — საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს ქალაქკომის პირველი მდივანი, ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; გ. შულაგი — საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი, პრეტენდენტთა ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; მ. ქორჯაშვილი — წყალტუბოს საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი; გ. ცხოვრებაშვილი — პროფკავშირების კურორტ-სამმართველოს წყალტუბოს ტერიტორიული საბჭოს თავმჯდომარე, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი; ჯ. დემეტრაძე — წყალტუბოს აგრომეურნეობის თავმჯდომარე, საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; გ. გაჩეჩილაძე — ტურნირის მთავარი მსაჯი; ე. უბილაძე — ნ. გვარდინაშვილის მწვრთნელი; ი. ლაბუხი — საქართველოს სპორტსახელმძღვანელო უფროსი მწვრთნელი; გ. ორდოვი — ე. ახმელოვსკაის მწვრთნელი.

სიგელით დაჯილდოვდნენ:

- დ. დონაძე — სანატორიუმ „საქართველოს“ მთავარი ექიმი; გ. ჩხეიძე — სანატორიუმ „წყალტუბოს“ მთავარი ექიმი; მ. იოსელიანი — სანატორიუმ „იასი“ მთავარი ექიმი; ნ. ჩხეიძე — სანატორიუმ „სამგურალის“ მთავარი ექიმი; დ. კთილაძე — სანატორიუმ „მეტალურგის“ მთავარი ექიმი; გ. გოგაძე — სანატორიუმ „თბილისის“ მთავარი ექიმი; დ. მაღლაკელიძე — წყალტუბოს კავშირგაბმულობის კვანძის უფროსი; დ. ახვლედიანი — საკონსტრუქტორ დარბაზ „ივერიის“ დირექტორი; ხ. ნიჭიბაძე — წყალტუბოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე; ჯ. ბერაძე — წყალტუბოს საპარკო კლუბის დირექტორი და ტურნირის აღმინისტრატორი; თ. გიორგაძე — ტურნირის მთავარი მსაჯის მოადგილე; ე. მელიქიძე — ტურნირის მსაჯი; დ. ლიუბარსკაია — ტურნირის მთავარი მდივანი; ნ. კარა-ჯაშვილი — ტურნირის მსაჯი; ე. გუგუშვილი — ტურნირის პრეს-ბიულეტენის რედაქტორი; ა. ჩაიკოვსკაია — ტურნირის პრეს-ცენტრის მუშაკი; რ. ზაგარევი — ნ. იოსელიანის ექიმი-ფსიქოლოგი.

გადასცა გამოცხადდა:

- გ. ხაჩიკოვ — საქართველოს საზოგადოება „ინტერსის“ წყალტუბოს განყოფილების მმართველს; ო. ფრუშინ — სანატორიუმ „მეტალურგის“ მთავარი ექიმი.

კვირიდან კვირამდე

„იზმანბა“ — 22 მარტი. „დავდივართ სამეურნეო ანგარიშზე“. სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალურმა საბჭომ ნება დართო კიევის „დინამოს“ შექმნას საფეხბურთო კლუბი.

26 მარტი. „საკალათბურთო ევტრანების დებიუტი“. 6 აპრილს ბელგიაში, ქალაქ გენტში მოედანზე გამოვლენ ევროპისა და ბელგიის ევტრან კალათბურთელთა ნაკრები გუნდები.

„სოველსკი სპორტი“ — 24 მარტი. რუმინების „ნაციონალი სახეები ფართო პლანით“ სტუმარია ცნობილი საბჭოთა ტანმოვარჯიშე ნატალია კუჩინსკაია.

24 მარტი. გავითი იწყებს ვალენტი ივანოვის წერილის „უხელო მეგაღნი“-ს ბეჭდვას.

26 მარტი. „უღანაშულოა? დააბატონებო!“ წერილი იბეჭდება რუმინულ „გამომცემი მიკაეის რეპორტიორს“.

წოდების მინიჭება

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

- ბალოსნაზაძე — ხანარ ნაბიევი (რუსთავი, პროფკავშირები).



ჩვენს მოქალაქეთა რეზერვის დათვალერების ერთ-ერთი საშუალებაა შევიზრუბა თავისუფალ ჭიდაობაში სამხედრო-პატრიოტულ კლუბებს შორის. წლებადღეს ასპარეზობაში, რომელსაც ტყუილმა უმასპინძლა, 1975-1976 წლებში დაბადებული ნორჩი ფალავნები გამოდიოდნენ. გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1.

ვისი კლუბია უპირატესი?

საგარეო; 2. ქუთაისი; 3. თბილისის განათლების სამმართველოს სპორტული სკოლა.

პირად პირველობაში წონითი კატეგორიის მიხედვით გაიმარჯვეს: 29 კგ. ნ. დვალისვილი (მახარაძე); 32. ნ. წიქორიძე (ქუთაისი); 35. ა. თელიაშვილი (საგარეო); 38. ე. სამსონია (ქუთაისი); 41. ა. მრეველი (თბილისი); 44. ნ. გურგულიანი (ორი-

ვე — თბილისი); 47. ზ. ჩიხრაძე (ქუთაისი); 50. ნ. ბერიძე (თბილისი); 53. ა. ზაქიძე (დუშეთი); 56. ლ. ყორღანაშვილი (საგარეო); 59. ზ. ლარიშვილი (თელავი); 62. ა. ინაშვილი; 65. თ. კვინიკაძე (ორივე — ქუთაისი); 68. რ. დიდელაშვილი (საგარეო); 71. ე. ლაცაბელი (თბილისი); 76. გ. ნიკოლაძე (ქუთაისი).

დაპირებას მოჰყვება თუ არა საქმე?



კანონსა და დიქტო ზეგნებითელ საქვეშო ჩემპიონატის II წრის ტანს.

ვათა გუნდების უმაღლესი ლიგის IV ტური, რომელიც ერთ კვირას გას-

ამ ტურის წინ რედაქციაში მოვიწვიეთ თბილისის „ბურვესტნიკის“ უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი სპორტის ოსტატ გიორგი ბერიაშვილი. აი, რა გვითხრა მან: — პირველ სამ ტურში გამოსვლით, ცხადია, ემაყოფილა არა ვართ. გათამაშების სტარტზე, ასტრანში, როგორც იცით, სამი ქულა მოვიპოვეთ (მოგუგეთ ლენინ-გრაძელებს, წაგაგეთ ვინაიდან კი-ვლელებთან, ფეხგაგეთ მინსკელებთან, ასტრანხანგლებთან და მაი-სან). თითქმის ეს უხეირო შედეგი არ იყო, მით უფრო გუნდისათვის, რომელიც საკმაოდ დიდ სიმძლავრეს განიცდის შემადგენლობის მხრივ. ჩემპიონატის წინ გუნდში მოვიწვიეთ მინსკელი ჟუჟი. იგი კარგი გამომავალია, მაღალი შედეგია-ნობითაც გამოირჩევა, მაგრამ ჩვენი გუნდის ახალგაზრდა, სამწუხაროდ,

მარბმა ბულიამ და მცველმა ჩიბირაშვილმა, რომლებმაც პირადი ინტერესები გუნდის საერთო ინტერესებზე უფრო მაღლა დააყენეს. ერთი სიტყვით, მთელი გათამაშების განმავლობაში ჩვენ საკუთარ ზეღწივას კი არ ვეძებდით, არამედ... მოთამაშებებს! თავად განსაჯეთ: პირველ სამ ტურში სულ სხვადასხვა შემადგენლობით ვითამაშეთ ე. ი. ერთი შემადგენლობით ვეზადებოდით და ფაქტურად სულ სხვა შედეგებით ვასპარეზობდით. ეს ცხადია, არც ერთ სხვა გუნდში არ მომხდარა. დღეს „ბურვესტნიკის“ 16 მოთამაშეა 8 ზეღმურთელი აქლია (აქედან 5 მოთამაშე სამხედრო საგალდებულო სამსახურის ობდის). ისე კი, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი გუნდი ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდულია ლიგაში — მისი საშუალო ასაკი 21-22 წელია, ცხადია, „ბურვესტნიკის“ შემთხვევაში — გუნდი ზომიერ-ერთგვარაა ძალიან მექანიზმი უნდა იყოს — ამისათვის კი, პირველ ყოვლისა, დროა საჭირო.

ალბათ, ვინმეს დაებადება კითხვა, რატომ არ მოგვყავს „ბურვესტნიკში“ ახალი ნიჭიერი მოთამაშეები. 1986 წლის ხალხთა სპორტკაილის შემდეგ ჩვენს გუნდში 9 ახალი ზეღმურთელი მოვიდა. ისინი მანამდე რესპუბლიკის ახალგაზრდულ ნაკრებში გამოდიოდნენ. ვინც დღეს გუნდში დარჩა, სათადარიგო შემადგენლობაში გვყავს, ისინი 17-18 წლისანი არიან. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდობა ტექნიკური მომზადებით და ფიზიკური კონდიციებით ჩამორჩება უფროსებს და, ცხადია, ჭრადერთი გერ გასწევს ძირითადი შემადგენლობის ქაპანს. კიდევ ერთი: პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების გაერთიანების შემდეგ, დღესაც არ ვიცით პრაქტიკულად თუ ვის ვეკუთვნით (!!). კანონის ტურისათვის ინტენსიურად ვემზადებოდით (დღესი ორჯერადი ვარჯიში). მართალია, პრობლემები ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს, მაგრამ გვინდა როგორმე რეაბილიტაცია შევძლოთ გულშემატკივრებს წინაშე — ყველაფერი ვიღონოთ სატურნირო მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ოთარ ოთარაშვილი.

1923 წელს მოსკოვში გამოვიდა დღემდე არ დაუკარგავს თავისი

თაისის, აჭარის, აფხაზეთის, სამხ-
რეთ ოსეთის, ფოთის, გორის, თე-
ლავის, ქიათურის, ზესტაფონისა და





პარტიზანი — მაკაბი — არისი — ტრეისარი

პარტიზანი — მაკაბი — არისი — ტრეისარი

სულ მალე დაიწყება კალათბურთის ევროპის ჩემპიონატის მატჩები. 5 აპრილს ბელგიის ქალაქ გენტში ნახევარფინალური შეხვედრები ჩატარდება, ორი დღის შემდეგ კი იქვე ფინალური და მესამე ადგილის გამოსავლენი მატჩები გაიმართება.

მანამდე კი ფინალისტთა ტურნირის ბოლო მატჩები შედგა, რომელთაგან უმეტესობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. საქმე

ის გახლავთ, რომ ბელგიის „პარტიზანს“, სალონიის „არისს“ და მილანის „ტრეისარს“ ნახევარფინალში თამაშის უფლება პრაქტიკულად განადგურებული ჰქონდათ. ნახევარფინალის მეოთხე მონაწილე ტელ-ავივის „მაკაბისა“ და „პარტიზანის“ თრთმარძოლამ გამოავლინა. წარმატება შეხვედრაში „მაკაბიმ“ მოიპოვა და იგი გადამწყვეტი ეტაპის ბოლო მონაწილე გახდა — 98:94.

„ტრეისერისა“ და „არისის“ მატჩში ბერძნებმა თავიანთი ლიდერი ნიკოს გალისი დასვენეს. გამარჯვება ამჯერად იტალიელებს დარჩათ — 97:82.

სხვა ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: „სატურნი“ (კიოლინი) — „ნაშუა“ დენ ბოში (პოლანდია) 100:105, „ბარსელონა“ (ესპანეთი) — „ორტეზი“ (საფრანგეთი) 81:79. ნახევარფინალური შეხვედრების წინ (გუნდები ასე დაწყვილდნენ:

„პარტიზანი“ — „მაკაბი“, „არისი“ — „ტრეისერი“) სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

	თ.	მ.	წ.	ქ.
„პარტიზანი“	14	10	4	24
„არისი“	14	9	5	23
„ტრეისერი“	14	9	5	23
„მაკაბი“	14	8	6	22
„ბარსელონა“	14	7	7	21
„სატურნი“	14	5	9	19
„ორტეზი“	14	4	10	18
„ნაშუა“	14	4	10	18


იოგა — ჯანმრთელობის სასახურში

ქირითადი პოზიციები

პარტიზანობით

სანთლის პოზიციები (სარეკლამო-ნა, სურ. 6. ა. ბ.)

მეთოდი: იატაკზე გაშალეთ თხელი ქსოვილი. დაწვიეთ ზურგზე, ჩაისუნთქეთ და ნელა აწიეთ ფეხები ზემოთ, ზურგი ხელბით უნდა გეჭიროთ. ნიკაბი მკერდს უნდა ეხებოდეს, ბეჭები და კისერი



სურათი 6 (ა. ბ.)

იატაკს უნდა ეხებოდეს. ფეხები არ უნდა მოძრაობდეს, ეცადეთ ისინი სწორად გეჭიროთ. პოზის შესრულების შემდეგ ფეხები ძალიან ნელა დაუშვით. ეს პოზა განსაკუთრებით მსუბუქად და მოზდენილად უნდა შეასრულოთ. ტანის მთელი სიმაღლე ბეჭებს აწევს. სანთლის პოზა შეიძლება შეასრულოთ დღეში ორჯერ დილა-საღამოს. ვარჯიში დაიწყეთ ორი წუთიდან, ვარჯიშის დრო გააძლიერეთ 20 წუთამდე.


დასაწყისში სანთლის პოზა გამოიწვევს სუნთქვის გაძნელებას, რაც თანდათან გაივლის. ამ პოზის მიღების დროს ჩაისუნთქეთ და სუნთქვა შეიკავეთ. ეს იწვევს მუცლის კუნთების დაძვრას და ადრეულად ფეხების აწევას. ამის შემდეგ მხოლოდ იმის შემდეგ, როცა პოზას მიიღებთ (ფეხებს გაჭიმავთ). ამ პოზაში დგომისას თანაბრად ისუნთქეთ მუცლით. ფეხების დაწევისას ამოისუნთქეთ. ეს ამაგრებს მუცლის კუნთებს.

მეორე პარტიზანი პოზიციები (სურ. 7)

ზურგის ქვემოლან გამოიყენეთ ხელები და დააწყვეთ იატაკზე. გაჭიმული ფეხები დაუშვით უკან, სანამ ხელის თითები მუხლებს შეეხებიან, ჩაისუნთქეთ და შეაჩერეთ სუნთქვა.

მეთოდი: ეს პოზა განსაკუთრებით აქტიურებს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციონირებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ნივთიერებათა ცვლის, საკმლის მონელების, კვებისა და ზრდა-განვითარებისათვის. საღი ფარისებრი ჯირკვლი არეგულირებს სისხლის მიმოქცევას, სუნთქვის, ნერვული სისტემის, შარდ-სასქესო სისტემების საღ ფუნქციონირებას. ამ ჯირკვლის აქტივობა

მეორე პარტიზანი პოზიციები (სურ. 7) მკიდროდა დაკავშირებული ქალღმრთელ ჯირკვალთან (ეპიფორიზთან), პიპოფორიზთან, თირკმელზედა ჯირკვლის ქერქთან ნივთიერებათა, ღვიძლთან, ელენთთან და სხვ. როდესაც ფარისებრი ჯირკვლი დაავადებულია ან ნორმალურად ვერ ფუნქციონირებს, სხვა ჯირკვლების ფუნქციები მოშლილია. სანთლის პოზა ხელს უწყობს ფარისებრი ჯირკვლის საღ მუშაობას, ეს კი ორგანიზმის ყველა ორგანოს ნორ-



სურათი 7

მალურ ფუნქციონირებასთანაა დაკავშირებული. როგორც სურათი შეიანდა აღნიშნავს, სანთლის პოზის შესრულება თავზე დგომასთან და სხეულის ჯდომით მდგომარეობაში მოძრაობასთან ერთად საჭიროა ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად.

სანთლის პოზა დადებითად მოქმედებს ხმაზე, მისი გაძლიერების იდეალური საშუალებაა. იგი აუზრუნველყოფს ზურგის ტვინში სისხლის მიმოქცევას და ტვინის ფესვების კვებას. სანთლის პოზა საშუალებას გვაძლევს შევინარჩუნოთ ხერხემალის ელასტიკურობა, ხელს უშლის ხრტილების გაძვლებს და ამით ახანგრძლივებს ახალგაზრდობის პერიოდს. სანთლის პოზა ჰისხლის მიმოქცევის, ნერვული და საკმლის მო-



სურათი 8

მეორე პარტიზანი პოზიციები (სურ. 8) მწელები სისტემების გაუმჯობესების მარტივი და მუდმივი საშუალებაა. ვინც ვერ შეძლებს პოზების ყველა სერიის შესრულებას, აუცილებლად უნდა შეასრულოს სანთლის პოზა, თავზე დგომა და სხეულის მოხრა ჯდომით მდგომარეობაში.


სხეულის მოხრა ჯდომით მდგომარეობაში (სურ. 8)

მეთოდი: დაწვიეთ იატაკზე და გაჭიმეთ ფეხები. ტანი ასწიეთ და თავი წინ დახარეთ. ამისუნთქეთ და განაგრძეთ დახრა მანამ, სანამ მუხლით მუხლებს შეეხებოდეთ. როდესაც ტანი უკვე მოხრილია, ჩაუშვით თავი ხელებს შორის და დარჩით ამ მდგომარეობაში.

ახალგაზრდებს, რომლებსაც ხერხემალი ელასტიკური აქვთ, პირველივე ცდით შეუძლიათ შეეხონ მუხლებს. უმცირესი ხანში შესულ ადამიანებს კი ამისათვის 2-4 კვირა დასჭირდება. წინ დახრისას ამოისუნთქეთ, შეაკავეთ სუნთქვა, ნელა გასწორდით და ჩაისუნთქეთ მხოლოდ იმის შემდეგ, როცა სხეული მთლიანად გასწორდება. ეს პოზა დასაწყისში მხოლოდ 5 წამს უნდა გრძელდებოდეს, შემდეგ კი 10 წუთამდე. პოზის ხანგრძლივი შესრულებისას სუნთქვა ადვილდება. ვისაც მთელი პოზის შესრულება გაუჭირდება, შეუძლია შეასრულოს ერთი ფეხით და ერთი ხელით. რამდენიმე დღის შემდეგ შეიძლება უკვე მთელი პოზის შესრულება.

ეს პოზა, ისევე, როგორც პოზა „თავი მუხლთან“, რომელიც ქვემოთაა აღწერილი, უზმოდ უნდა შეასრულოთ.

მეთოდი: პოზა ხელს უწყობს საკმლის კარგ მონელებას, ზედმეტ



სურათი 9

„სპორტპროგრესი“ 80-14 ბირაბის პროგრამა (2-3 პერიოდი)	პროგრესი	პროგრესი	პროგრესი
სსრ კავშირის ფანჯარის ფანჯარის (თასი)	2.IV	50	40
1. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	3.IV	60	30
2. „უალგირისი“ (ვილნუსი) — „ზენიტი“ (ლიენგარდი)	3.IV	80	10
3. „დინამო“ (თბილისი) — „ქაირონი“ (ალმა-ათა)	3.IV	20	60
4. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი)	3.IV	20	60
5. „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „დინამო“ (დნეპროპეტროვსკი)	3.IV	40	10
სსრ კავშირის ჩემპიონატი რეპარტი (უმაღლესი ლიგა)	3.IV	20	10
6. „შენეგელი“ (ქუთაისი) — „სლავა“ (მოსკოვი)	3.IV	70	20
7. „ელმავალი“ (თბილისი) — „გაგარინის სსრ სსა (მონინო)	3.IV	50	10
8. ასე (ალმა-ათა) — „პრომორეტი“ (ლიენგარდი)	3.IV	50	10
9. „ვერდი“ (ტაშკენტი) — „მესკავატორტაშკენტი“ (კრასნოიარსკი)	3.IV	50	10
10. „ავიატორი“ (კიევი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	3.IV	50	10
სსრ კავშირის ჩემპიონატი რეპარტი (უმაღლესი ლიგა)	3.IV	80	10
11. „ტორპედო“ (იაროსლავლი) — „დინამო“ (ხარკოვი) I პერიოდი	3.IV	10	70
12. „ტორპედო“ (იაროსლავლი) — „დინამო“ (ხარკოვი) II პერიოდი	3.IV	10	70
13. „ტორპედო“ (იაროსლავლი) — „დინამო“ (ხარკოვი) III პერიოდი	3.IV	50	10

შენიშვნა: იაროსლავლის „ტორპედოსა“ და ხარკოვის „დინამოს“ თამაშის ყოველ პერიოდს ცალ-ცალკე უნდა გაუკეთდეს პროგრესირება.


საერთაშორისო

ჩემპიონატი

პარტიზანობით (სურ. 7) მკიდროდა დაკავშირებული ქალღმრთელ ჯირკვალთან (ეპიფორიზთან), პიპოფორიზთან, თირკმელზედა ჯირკვლის ქერქთან ნივთიერებათა, ღვიძლთან, ელენთთან და სხვ. როდესაც ფარისებრი ჯირკვლი დაავადებულია ან ნორმალურად ვერ ფუნქციონირებს, სხვა ჯირკვლების ფუნქციები მოშლილია. სანთლის პოზა ხელს უწყობს ფარისებრი ჯირკვლის საღ მუშაობას, ეს კი ორგანიზმის ყველა ორგანოს ნორ-

პარტიზანი — მაკაბი, „არისი“ — „ტრეისერი“) სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

პარტიზანი — მაკაბი, „არისი“ — „ტრეისერი“) სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:



პარტიზანი — მაკაბი, „არისი“ — „ტრეისერი“) სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

პარტიზანი — მაკაბი, „არისი“ — „ტრეისერი“) სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

„ჩემპიონატი ჩემპიონის“

პრიზი — პროსტ

„ფორმულა 1“-ის ყოფილ მპროსტ კლუბი, რომლის პრეზიდენტი მსოფლიოს სუთუზის ჩემპიონი არგენტინელი ხუან მანუელ ფანინო, გამარჯვებულს „ფორმულა 1“-ის სისტემის მიხედვით ავტოს და ითვალისწინებს ისეთ მანქანებებს, როგორცაა მანქანის ტარების სტილი, ნიჭი, სიმაღლე, მამაცობა, ხარისხობრივი მანქანებები და ტრასაზე ტაქტიკური ბრძოლის ფლორის უნარი. გამარჯვებულს შემდეგ ადგილები ასე განაწილდა: ანტონ სენა (ბრაზილია), ნელსონ პიკე (ბრაზილია), გერჰარდ ბერგერი (ავსტრია), ნაიკელ მენსელი (დიდი ბრიტანეთი).

პრიზი, „ოქროს ვარდი“, ალენ პრისტი 15 მაისს, მონაკოს „დიდი პრიზის“ გათამაშების დროს გადაეცემა.

რედაქტორი

თ. ბაჩიშვილი

ჩემპიონის მიხედვით: წერილებისთვის — 350096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ლექსებისთვის — თბილისი, „ლელო“,

ჩემპიონის მიხედვით: წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, „მერანი“ — 93-97-26, „მარტვი“ — 93-97-27.

ჩემპიონის მიხედვით: 6435

საქართველოს კ. ც. -ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისა სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ბეჭდვა ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ზომარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05263